საქართველოს მთავრობის

განკარგულება №1205

2017 წლის 15 ივნისი

ქ. თბილისი

სასარგებლო წიაღისეულის (სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენების ტექნოგენური დანაგროვი) მოპოვების ლიცენზიის გაცემისათვის საწყისი ფასის განსაზღვრისა და დამატებითი სალიცენზიო პირობის განსაზღვრაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-7 მუხლის 1^3 პუნქტის საფუძველზე:

ა) ქ. ზესტაფონში, რუსთაველის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, სასარგებლო წიაღისეულის (სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენების ტექნოგენური დანაგროვი) მოპოვების ლიცენზიის გაცემისათვის საწყისი ფასი განისაზღვროს 100 000 (ასი ათასი) ლარის ოდენობით;

ბ) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ – გარემოს ეროვნულ სააგენტოს მიეცეს თანხმობა, ქ. ზესტაფონში, რუსთაველის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, სასარგებლო წიაღისეულის (სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენების ტექნოგენური დანაგროვი) მოპოვების ლიცენზიის გაცემისთვის დამატებით სალიცენზიო პირობად განსაზღვროს მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ძარაგადახურული ავტოსატრანსპორტო საშუალებით ტრანსპორტირება.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**